

დამტკიცებულია:

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს დადგენილებით #47;

04.11.2020 წ. ოქმი #7

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა

კვლევის მეთოდოლოგია

1. წინამდებარე მეთოდოლოგიის შესაბამისად ხორციელდება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტი) მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევა.

2. კვლევის ძირითადი მიზანია, თუ როგორ აფასებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები უნივერსიტეტის მიერ მათთვის გაწეულ მომსახურებას და როგორია სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობა.

3. ამ მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს ისეთი საკითხების შესწავლა, როგორცაა:

- მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება პროფესიული სტუდენტებისათვის;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შეფასება;
- უნივერსიტეტის ადამიანური რესურსის შეფასება;
- პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;
- სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება;
- პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება;
- მატერიალური რესურსის, IT ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა და მათი შეფასება
- კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან

დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;

- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება.

4. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევას ახორციელებს სტუდენტთა კარიერული ზრდის ცენტრის მთავარი სპეციალისტი. გამოკითხვა ტარდება წინამდებარე მეთოდოლოგიის დანართების სახით (დანართი 1 - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ბარათი; დანართი 2 - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ბარათი.) წარმოდგენილი კითხვარების საშუალებით.

5. კითხვარის შეთანხმება ხდება პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერთან. საჭიროებების გაანალიზების საფუძველზე ხდება მისი განახლება.

6. სავალდებულოა სტუდენტი და კურსდამთავრებული ინფორმირდეს კვლევის ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით, რომ დაცული იქნება მათი ანონიმურობა და მოპოვებული მასალები განზოგადებული სახით იქნება გაანალიზებული. ასევე, პროფესიული სტუდენტი ინფორმირდება კვლევის მიზანზე, ამოცანებსა და კვლევისათვის საჭირო დროზე.

7. კურსდამთავრებული უფლებამოსილია უარი განაცხადოს კვლევაში მონაწილეობაზე, რაც რაოდენობრივად უნდა აისახოს ანალიზში.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით კურსდამთავრებულთა კვლევის მასალები მუშავდება სტატისტიკურად, ანალიზი წარმოდგენილი უნდა იქნას კვლევის ჩატარებიდან მაქსიმუმ ერთი თვის ვადაში.

9. იდენტიფიცირებულ გასაუმჯობესებელ საკითხებთან დაკავშირებით შესაძლებელია ჩატარდეს განმეორებითი კვლევა, მათ შორის ფოკუს-ჯგუფებში, საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით.

10. კვლევის შედეგად მიღებული შედეგების ანალიზს კონკრეტული რეკომენდაციებით წარადგენს პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი. მისი განხილვა ხდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოზე.

კვლევის შედეგად მიღებული შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას დაწესებულების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

11. კითხვარი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <http://sjuni.edu.ge/>